



## საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N9 - იმეილ ბანკი

1. **იმეილ ბანკთან** დაკავშირებული სპეციფიკური დეფინიციები:
  - 1.1. **SOLO კლიენტი** - SOLO ანგარიშთა პაკეტის მფლობელი ფიზიკური პირი.
  - 1.2. **WM კლიენტი** - პირადი საბანკო საქმიანობის დეპარტამენტის მომსახურებაში მყოფი ფიზიკური პირი.
2. **იმეილ ბანკის** საშუალებით, **კლიენტი** უფლებამოსილია **განაცხადში** დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან, **განაცხადშივე** მოცემული **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე (**WM კლიენტის** შემთხვევაში აგრეთვე **WMOperations@bog.ge** ელექტრონული ფოსტის მისამართზე), **ბანკს** მისცეს, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ოპერაციების** შესახებ **დავალება** (დავალება შესაძლოა გაიცეს ზეპირად, სატელეფონო კომუნიკაციის ფორმით) ან/და ამ **დანართის მე-12 პუნქტით** განსაზღვრული წესით, მოახდინოს **დავალების** დადასტურება.
3. **იმეილ ბანკის** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:
  - 3.1. **გადარიცხვები ბანკში** გახსნილ **ანგარიშ(ებ)ზე** ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის **კონვერტაცია**);
  - 3.2. **მუდმივი საგადახდო დავალების** აქტივაცია/დეაქტივაცია;
  - 3.3. **ავტომატური გადახდის** აქტივაცია/დეაქტივაცია/რედაქტირება;
  - 3.4. **კლიენტის** ანაბარზე თანხის შეტანა;
  - 3.5. **ბარათის** პრიორიტეტულობის ცვლილება;
  - 3.6. **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** ძირითადი ვალუტის ცვლილება;
  - 3.7. საკრედიტო **ბარათზე** ჩარიცხვა (მიმდინარე გადასახადის დაფარვა)/საკრედიტო **ბარათის ლიმიტის** შემცირება;
  - 3.8. სესხის დაფარვა (არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი, საბლანკო სესხის ძირის შემცირება, წინსწრებით დაფარვა), გრაფიკის ცვლილება, საშეღვათო პერიოდის დაშვება/გაუქმება;
  - 3.9. კრედიტზე გადახდის თარიღის/გრაფიკის ცვლილება;
  - 3.10. საბანკო დოკუმენტაციის (**ამონაწერი**, გრაფიკი, რეკვიზიტები, swift, სავალუტო **გადარიცხვის/ჩარიცხვის** მარშრუტის შესახებ ინფორმაცია) მიღება;
  - 3.11. **ბარათის** (სადებეტო/საკრედიტო) შეკვეთა/განახლება/ახალ **ანგარიშზე** რეგისტრაცია, **ბარათის დაცვის მომსახურების** აქტივაცია, ასევე, **ბარათის ადგილზე მიტანის სერვისით** სარგებლობა გარდა **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათების** ტიპებისა.
  - 3.12. სადებეტო სერტიფიკატის გახსნა/გამოსყიდვა;
  - 3.13. ანაზრის გახსნა/დახურვა/კონვერტაცია;
  - 3.14. **კლიენტის** დაფიქსირება, **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად;
  - 3.15. **ბანკის** მიერ განსაზღვრული კრედიტის (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იგულისხმება **ბანკის** მიერ გაცემული/გასაცემი ნებისმიერი სახის/ტიპის კრედიტი, მათ შორის **ოვერდრაფტი**, და ანაზრით/სადებეტო სერტიფიკატით უზრუნველყოფილი სესხი) მოთხოვნა, ხელშეკრულების დადება, მათ შორის კრედიტის ხელშეკრულებებში ნებისმიერი სახის ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა. აგრეთვე, კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელება და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გარიგებების (მათ შორის, **განაცხადის**) დადება/გაფორმება.



4. **იმეილ ბანკის** საშუალებით **SOLO კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი **ოპერაციების** შესრულება:
  - 4.1. **ბანკის** მიერ განსაზღვრული კრედიტის (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იგულისხმება **ბანკის** მიერ გაცემული/გასაცემი ნებისმიერი სახის/ტიპის კრედიტი, მათ შორის **ოვერდრაფტი**, და ანაბრით/სადეპოზიტო სერტიფიკატით უზრუნველყოფილი სესხი) მოთხოვნა, ხელშეკრულების დადება, მათ შორის კრედიტის ხელშეკრულებებში ნებისმიერი სახის ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა. აგრეთვე, კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელება და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გარიგებების (მათ შორის, **განაცხადის**) დადება/გაფორმება;
  - 4.2. **კრედიტის** (მათ შორის **მესამე პირის კრედიტის**) წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვა;
  - 4.3. **კრედიტზე** გადახდის თარიღის/**გრაფიკის** ცვლილება;
  - 4.4. **საკომისიოს** ჩამოჭრაზე **ანგარიშ(ებ)**ის რიგითობის/პრიორიტეტულობის განსაზღვრა/ცვლილება;
  - 4.5. **Priority Pass** ბარათის შეკვეთა/დაბლოკვა/გაუქმება;
  - 4.6. **გადარიცხვები ბანკში** გახსნილ **ანგარიშ(ებ)ზე** ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის **კონვერტაცია**), ასევე **გადარიცხვები** სხვა ბანკ(ებ)ში, **ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად, ასევე, **კანონმდებლობით** გათვალისწინებული და **ბანკში** დადგენილი წესების შესაბამისად, შესრულებული **გადარიცხვის** კორექტირება/უკან დაბრუნება და **მიმღებისთვის** თანხის ჩარიცხვაზე ინფორმაციის მოძიება;
  - 4.7. კომუნალური და სხვა სახის გადასახადების გადახდა (გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის ან/და მასთან ასოცირებული ელექტრონული საფულის შევსება);
  - 4.8. **საგადახდო დავალების** გაუქმება;
  - 4.9. **ინტერნეტ-ბანკის** დეაქტივაცია;
  - 4.10. **SMS ბანკის** რედაქტირება (**ფინანსური ნომრის** ცვლილების გარდა)/დეაქტივაცია;
  - 4.11. **ბარათის დაცვის მომსახურების** აქტივაცია/დეაქტივაცია;
  - 4.12. **ბარათის** (სადებეტო/საკრედიტო) შეკვეთა ან/და განახლება, გარდა **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათების** ტიპებისა; ასევე, დაადასტუროს და დაეთანხმოს ანაბრის გირავნობის ხელშეკრულების პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს საკრედიტო **ბარათს**.
  - 4.13. **ბარათის** დაბლოკვა/განბლოკვა;
  - 4.14. **ბარათზე პინ კოდის** აღდგენა;
  - 4.15. **ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებით** სარგებლობა;
  - 4.16. საბარათე **ანგარიშზე** ძირითადი ვალუტის ცვლილება;
  - 4.17. **ანგარიშიდან** ფულადი სახსრების ჩამოჭრის (დადებითი ნაშთ(ებ)იდან ან **ოვერდრაფტ(ებ)იდან**) პრიორიტეტულობის ცვლილება;
  - 4.18. საკრედიტო **ბარათზე** დაანგარიშების თარიღის ცვლილება;
  - 4.19. საკრედიტო **ბარათის ლიმიტის** ცვლილება (გაზრდა/შემცირება);
  - 4.20. **ანგარიშის** გახსნა/დახურვა;
  - 4.21. ანაბრის გახსნა/დახურვა, ანაბარზე თანხის დამატება (მათ შორის **მესამე პირის** ანაბარზე)/პირობების ცვლილება;
  - 4.22. სადეპოზიტო სერტიფიკატის გახსნა/გამოსყიდვა (**ბანკში** დადგენილი **ლიმიტების** შესაბამისად);
  - 4.23. **ელექტრონული ყულაბის** აქტივაცია/დეაქტივაცია
  - 4.24. **მუდმივი საგადახდო დავალების** აქტივაცია/რედაქტირება/დეაქტივაცია;
  - 4.25. **ავტომატური გადახდის** აქტივაცია/რედაქტირება/დეაქტივაცია;
  - 4.26. ურთიერთობის პროგრამა PLUS-ის აქტივაცია/დეაქტივაცია;
  - 4.27. დაგროვებითი პროგრამა Membership Reward-ის აქტივაცია/დეაქტივაცია;
  - 4.28. Membership Reward ქულების განკარგვა (მათ შორის გაჩუქება);
  - 4.29. საკრედიტო შენატანის დაზღვევის აქტივაცია/გაუქმება;
  - 4.30. **ანგარიშთა** პაკეტის აქტივაცია/გაუქმება;

- 4.31. იმეილ ბანკის გაუქმება;
- 4.32. 3D უსაფრთხოების სერვისის აქტივაცია/დეაქტივაცია
- 4.33. SOLO კლიენტის სარეგისტრაციო მონაცემების (მისამართი, ელ ფოსტა, ფინანსური ნომერი) ცვლილება/დამატება;
- 4.34. იმეილ ბანკის განაცხადში დაფიქსირებული ელ. ფოსტის ცვლილება, ახალი ელ. ფოსტის დამატება/ცვლილება/გაუქმება;
- 4.35. ამონაწერის/საბუთის ასლის მიღება;
- 4.36. ცნობის დამზადება (ბანკის მიერ განსაზღვრული ცნობის ტიპების შესაბამისად);
- 4.37. ინდივიდუალური ტარიფების განსაზღვრა;
- 4.38. თანხმობა სოლო ფემილი (SOLO Family) პაკეტის აქტივაცია;
- 4.39. საბავშვო ანაზრის (დეპოზიტის) დარღვევა, ბანკში დადგენილი ლიმიტების შესაბამისად;
- 4.40. School Card-ის განახლება/გაუქმება;
- 4.41. School Card-ზე განაღდების/გადახდის ლიმიტის ცვლილება;
- 4.42. არასრულწლოვანის ანგარიშებს (მათ შორის School Card-ის) შორის თანხის გადარიცხვა/კონვერტაცია/სხვა ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა, ბანკში დადგენილი ლიმიტების შესაბამისად;
- 4.43. იპოთეკის მოხსნის მოთხოვნის განაცხადის დადასტურება;
- 4.44. კანონმდებლობით გათვალისწინებული და ბანკში დადგენილი წესების შესაბამისად, ფულადი გზავნილის რედაქტირება/უკან დაბრუნება;
- 4.45. ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის პირობების ცვლილება;
- 4.46. კლიენტის დაფიქსირება, ბანკის სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად;
- 4.47. კონვერტაცია BMatch-ის გამოყენებით.
- 5. იმეილ ბანკის საშუალებით WM კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს შემდეგი ოპერაციების შესრულება:
  - 5.1. გადარიცხვები ბანკში გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის კონვერტაცია), ასევე გადარიცხვები სხვა ბანკ(ებ)ში, ბანკში დადგენილი ლიმიტების შესაბამისად;
  - 5.2. მუდმივი საგადახდო დავალების აქტივაცია/დეაქტივაცია;
  - 5.3. ავტომატური გადახდის აქტივაცია/დეაქტივაცია;
  - 5.4. SMS ბანკის აქტივაცია/დეაქტივაცია;
  - 5.5. ინტერნეტ-ბანკის აქტივაცია/დეაქტივაცია;
  - 5.6. ანაზრის გახსნა/დახურვა, ანაზრზე თანხის დამატება;
  - 5.7. სადეპოზიტო სერთიფიკატის გახსნა/გამოსყიდვა/გასხვისება (ბანკში დადგენილი ლიმიტების შესაბამისად);
  - 5.8. ელექტრონული ყულაბის აქტივაცია/დეაქტივაცია
  - 5.9. Priority Pass ბარათის შეკვეთა/გაუქმება;
  - 5.10. ანგარიშის გახსნა/დახურვა;
  - 5.11. ბარათის ახალ ანგარიშზე რეგისტრაცია;
  - 5.12. ბარათის დაბლოკვა/განბლოკვა;
  - 5.13. ბარათის დაზღვევის აქტივაცია/დეაქტივაცია
  - 5.14. საბარათე ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოჭრის (დადებითი ნაშთ(ებ)იდან ან ოვერდრაფტ(ებ)იდან) პრიორიტეტულობის ცვლილება;
  - 5.15. ანგარიშზე თანხის დაჯავშნა/ჯავშნის მოხსნა;
  - 5.16. საბარათე ანგარიშზე ძირითადი ვალუტის ცვლილება;
  - 5.17. საკრედიტო ბარათის ლიმიტის ცვლილება (გაზრდა/შემცირება);
  - 5.18. საკრედიტო ბარათზე ჩარიცხვა (მიმდინარე გადასახადის დაფარვა);
  - 5.19. საკრედიტო ბარათის შეკვეთა;
  - 5.20. საკომისიოს ჩამოჭრაზე ანგარიშ(ებ)ის რიგითობის/პრიორიტეტულობის განსაზღვრა/ცვლილება



- 5.21. ინდივიდუალური ტარიფების განსაზღვრა/გაუქმება;
- 5.22. ინდივიდუალური სეიფით სარგებლობის ვადის გაგრძელება;
- 5.23. **WM კლიენტის** სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილება;
- 5.24. საბანკო დოკუმენტაციის (**ამონაწერი, გრაფიკი, რეკვიზიტები, swift, სავალუტო გადარიცხვის/ ჩარიცხვის მარშრუტის შესახებ ინფორმაცია**) მიღება;
- 5.25. სესხის დაფარვა (არაუზრუნველყოფილი, საბანკო სესხის ძირის შემცირება, წინსწრებით დაფარვა), გრაფიკის ცვლილება, გადახდის თარიღის ცვლილება;
- 5.26. **იმეილ ბანკის** გაუქმება/ცვლილება;
- 5.27. **კლიენტის** დაფიქსირება, **ბანკის** სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს) წარმომადგენლად.
- 5.28. **კონვერტაცია BMatch-ის გამოყენებით.**
- 5.29. **ბანკის** მიერ განსაზღვრული კრედიტის (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იგულისხმება **ბანკის** მიერ გაცემული/გასაცემი ნებისმიერი სახის/ტიპის კრედიტი, მათ შორის **ოვერდრაფტი**, და ანაზრით/სადეპოზიტო სერტიფიკატით უზრუნველყოფილი სესხი) მოთხოვნა, ხელშეკრულების დადება, მათ შორის კრედიტის ხელშეკრულებებში ნებისმიერი სახის ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა. აგრეთვე, კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელება და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გარიგებების (მათ შორის, **განაცხადის**) დადება/გაფორმება.
- 5.30. დაგროვებითი პროგრამა Membership Rewards-ის დეაქტივაცია;
6. **ბანკი კლიენტს** სთავაზობს **იმეილ ბანკით მომსახურებას საბანკო დღის** (გარდა **ბანკის** მიერ დადგენილი გამონაკლის(ებ)ისა) განმავლობაში. აღნიშნული პირობა შეიძლება დაირღვეს, თუ ნებისმიერი მიზეზით დროებით შეფერხებულია ელექტრონულ ფოსტასთან კავშირი.
7. **განაცხადში** მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაცია ჩაითვლება **კლიენტის** მხრიდან განხორციელებულ კომუნიკაციად და **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ კომუნიკაციაზე, **დავალებაზე** რომელიც განხორციელდება აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.
8. **იმეილ ბანკით მომსახურებით** თითოეულ ჯერზე სარგებლობისას აუცილებელია **კლიენტმა**, გაიაროს იდენტიფიკაცია, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
9. **კლიენტის** იდენტიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს **დიჯიპასით** დაგენირებული **ერთჯერადი კოდით, კლიენტის ფინანსურ ნომერზე** გაგზავნილი **ერთჯერადი კოდით, განაცხადში** დაფიქსირებული საკონტროლო კითხვებზე **კლიენტის** მიერ მინიმუმ 1 (ერთ) კითხვაზე სწორი პასუხის (რომელიც მოცემულია **განაცხადში**) გაცემით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად.
10. იდენტიფიკაციის წარმატებით გავლის შემდეგ **კლიენტი** პასუხისმგებელია მის მიერ გაცემულ ნებისმიერ **დავალებაზე** იმ შემთხვევაშიც კი როდესაც აღნიშნული **დავალებები** არ იყო გაცემული **კლიენტის** მიერ ან გაცემულია **კლიენტის ავტორიზაციის** გარეშე.
11. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს იმეილ ბანკით** არა ავტორიზებული სარგებლობაზე ეჭვის ან რეალური ფაქტების შესახებ ან იმის შესახებ, რომ შესაძლოა **მესამე პირს** ჰქონოდა ან ჰქონდეს გარკვეული წვდომა **განაცხადში** დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტასთან.
12. **ბანკი** უფლებამოსილია ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი ან/და სატელეფონო კომუნიკაციით მიღებული **დავალება** გადაიტანოს **ბანკისთვის** სასურველ ფორმაში (მათ შორის: WORD; PDF და ა.შ.), გაუგზავნოს აღნიშნული სახის **დავალება კლიენტს განაცხადში** დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოსთხოვოს **კლიენტს** მისი დადასტურება საპასუხო ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის გზით. **კლიენტის** მხრიდან დასტური უნდა განხორციელდეს **ბანკის** მიერ ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის დღის

18:00 საათამდე (**SOLO კლიენტისთვის** გამონაკლისია **კრედიტზე** გადახდის თარიღის/**გრაფიკის** ცვლილება და საკრედიტო შენატანის დაზღვევის აქტივაცია, აღნიშნული **ოპერაციების** დადასტურება **SOLO კლიენტს** შეუძლია შეტყობინების გაგზავნის დღის მომდევნო **საბანკო დღის 18:00** საათამდე), **WM კლიენტის** მიერ დასტური უნდა განხორციელდეს **ბანკის** მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში), წინააღმდეგ შემთხვევაში **დავალება** გაუქმდება ავტომატურად, **კლიენტისათვის** დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამასთან, **ბანკი** პასუხს არ აგებს **ბანკში** არსებული ტექნიკური/პროგრამული ხარვეზის გამო ან/და ნებისმიერი სხვა მიზეზით, **კლიენტის** მიერ ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი **დავალების** დაგვიანებით მიღებით, ან/და მიუღებლობით ან/და არასრული/არასწორი ინფორმაციის მიღებით გამოწვეულ/დამდგარ ზიანზე.

13. **კონვერტაცია** შესაძლებელია განხორციელდეს **მხარეთა** შორის შეთანხმებული კურსით, რა დროსაც **ბანკის** მიერ ელექტრონულ ფოსტაზე **კლიენტისათვის** შეთავაზებული **კონვერტაციის** კურსი **კლიენტის** მიერ უნდა დადასტურდეს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნიდან 5 წუთში, ამასთან, თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში **კლიენტის** მხრიდან არ მოხდა **კონვერტაციის** კურსის დადასტურება ან/და **კონვერტაციის** **ოპერაციის** შესრულებამდე **ბანკში** არსებულ შესაბამის ვალუტებს შორის გაცვლითმა კურსმა განიცადა ცვლილება, რომლითაც **კლიენტის** მიერ დადასტურებული კურსით **ოპერაცია** ვერ სრულდება ან/და ტექნიკური მიზეზების გამო **კონვერტაცია** ვერ შესრულდა, **ბანკი** უფლებამოსილია არ შეასრულოს **კონვერტაციის** **ოპერაცია** **კლიენტის** მიერ დადასტურებული კურსით და **კონვერტაციის** კურსი თავიდან შეათანხმოს **კლიენტთან**.
14. **კლიენტის** მიერ **დავალების** დადასტურებას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა;
15. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი განუცხადოს **კლიენტს** იმეილ **ბანკით** მომსახურებაზე, ყოველგვარი დასაბუთებების გარეშე.
16. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ოპერაციის** შესრულებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის შედეგად **კლიენტისთვის** წარმოშობილ ნებისმიერ ზარალზე/ზიანზე ან/და სხვა დამატებით ხარჯებზე, რომელიც გამოწვეულია რაიმე სახის ტექნიკური ან/და მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედეგად.
17. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების პირობები, მათ შორის, **ოპერაციის** ჩამონათვალი, **ოპერაციის** დადასტურების მეთოდი/ვადა, ან შეზღუდოს ცალკეული ტიპის **ოპერაციების** შესრულება.